№ 61 მარტი 21, სამშაბათი 1889 მარტი 21, სამშაბათი № 61

# ივერია

გაზეთი ღირს

| თვეზე | მან. | კ. | თვეზე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ფრეილინის ქუჩა, პასტამოვის სახლი, № 5, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1889 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1889

ტფილისი, 20 მარტი

ამიერ-კავკასია მიწის პოხიერებით და ჭვავითა ერთი იმისთანა ქვეყანაა, რომელსაც შეუძლიან დიდძალი სიმდიდრე იქონიოს. ერთი დიდი ნაკლი ამისი მარტო ის არის, რომ ურწყულია და მშრალი. ესევე ითქმის საქართველოზედაც, ნამეტნავად სურამს აქეთ. ჩვენთა მამა-პაპათა ძალიან კარგად იცოდნენ ყადრი წყლისა მეურნეობის გაძლიერებისათვის და ამიტომაც როგორც კანონ-მდებლობა ჩვენი, ისეც ზნე-ჩვეულება წყლის არხებით გაყვან-გამოყვანისათვის დიდს უფლებას აძლევდა კაცსა. წყლის გაყვანას ვერავითარი მიზეზი ვერ დააბრკოლებდა, ოღონდ-კი თვით ბუნებას ხელი შეეწყო. ეკკლესიაც რომ დახვედროდა წინ არხსა, კანონი ნებას იძლეოდა თვით ეკკლესია გაეჭრათ და წყალი გაეყვანათ.

თვითონ ჩვენმა ენამაც-კი შეირჩინა იმისი კვალი თუ—რა ძვირფასად მიაჩნდათ ჩვენებს უწინ წყალი. „წყალობა, შემიწყალე, მიწყალობე, მიწყალე"—ყველა ამ სიტყვებს დასაბამი აქა აქვს. ყველა ამ სიტყვებში მარტო ის ისმის, რომ წყალი მომეც, წყალი მომმადლეო. წყალის შევედრება, წყალის მომადლება ჩვენს ქართველს კაცს უპირველეს სავედრებელად და სახვეწარად ჰქონია გამხდარი.

ამიტომაც საითაც-კი მიიხედავთ ჩვენში, ყველგან ნახავთ ნაშთს ზოგან უზარმაზარის არხისასაც. შორს რომ არ წავიდეთ, საკმაოა ვანიშნოთ უშველებელი არხი ფშავის არაგვიდამ წამოღებული, რომლის კვალი დღესაც ატყვია ტფილისიდამ დაწყებული თითქმის ფშავის არაგვის დიდ არაგვთან შესართავამდე და მეორე არხი კიდევ ალაზნის მარჯვენა მხარეზედ. ეტყობა, ჩვენს მამა-პაპას არაფერი არ დაუზოგავ, რომ არ შეჰშინებიან და ამოდენა არხების გაჭრისათვის თავი დაუდვიათ. რამოდენა ჯაფა, ხარჯი და ხალხი დასჭირებია, იქიდამა სჩანს, რაც ხალხის ხსოვნაში დღესაც დარჩენილია. მივიღებთ რა სახეში, რომ ყოველს დიდს საქმეს ჩვენში თამარ მეფეს ვაწერთ, ხალხი ალაზნისა და არაგვის პირისანი დღესაც ამბობენ, რომ როცა თამარ-მეფემ გაიყვანა ეს არხები და ბოლოში წისქვილი დააბრუნა, წისქვილის ქვებიდამ სისხლი გადმოსკდაო. ეს ამბავი გვაუწყებს—რამოდენად ძვირად დასჯდომია ხალხს ეს დიდებული საქმე, რომ მის წარმოდგენით მის მიერ დაღვრილი ოფლი სისხლად გადმომსკდარა წისქვილის ქვებიდამ.

გაუქმდა ეს არხები და მრავალი სხვა. ის დღეა და ეს და გულამომწვარს დედამიწას მოაკლდა ცხოველ-მყოფელი ცვარი წყლისა, კაცის მხნეობით მოდენილი. გავერანდა მდიდარი მამულები, ათხრდა, და იქ, საცა ქვეყანა წალკოტსავით ჰყვაოდა, დღეს მჭლე ძეძვი ძლივს-ღა მოდის. ამაოდ ჩაიარა ამოდენა შრომამ, ამოდენა ჯაფამ და დღეს ეს დიდი ნაამაგევი ჩვენთა მამა-პაპათა, მიწით ამოვსილი და ამომშრალი, გულსაკლავად გვანიშნებს—რანი ვყოფილვართ უწინ და რანი ვართ დღეს.

მთავარ-მართებელმა თ. ბარიატინსკიმ შენიშნა—რა დიდი საქმეა ამიერ-კავკასიისათვის საერთოდ და საქართველოსათვის ცალკე სარწყავი წყალი. დაიმორჩილა შამილი თუ არა, მაშინვე შეუდგა ამის საქმეს და მიანდო ინგლისის ინჟინერებს ბელლის და გამბას გამოეძიათ მთელი ის ადგილები, რომელნიც მტკვრის აყოლ-დაყოლებაზე მდებარეობენ. ბელლი მალე დაეთხოვა ამ საქმეს და წავიდა. გამბა-კი დარჩა, კარგად გამოიკვლია მტკვრის პირების არე-მარე და შეადგინა უშველებელი პროექტი იმაზედ თუ,—როგორ და რა გზით უნდა მოირწყას აღმოსავლეთი ამიერ-კავკასიისა. ეს საქმე მას აქედ ხელ-უხლებლად დარჩა ჩვენდა სამწუხაროდ.

დღეს რუსეთის მწერლობამ მიაქცია ყურად ღება ამ ფრიად საჭირო საქმეს. ერთს რუსულ ჟურნალში ჩვენ შევხვდით ამ საგანზედ წერილს ბ-ნ ვოიეკოვისას*). იგი ამბობს:

„დროა, დიდი ხანია დროა ხელი მოვკიდოთ ამიერ-კავკასიაში რწყვის საქმეს. საჭირო არ არის ჩვენთვის ინდოეთის დაპყრობა,—ჩვენ ჩვენი ინდოეთი გვაქვს ამიერ-კავკასიის ვაკეებზედ, თუ-კი მოვიწადინებთ. მტკვარი და არახსი ერთ მილიონ დესეტინაზედ მეტს ადგილს მორწყავს, მერე დიდნაყოფიერს ადგილსა. სარწყავი მიწები ძვირფასს მცენარეს გაზდიან, რწყვა გააღონიერებს მიწებს და გაუძლიერებს მომცემლობას იმოდენად, რომ ორი, ზოგჯერ სამი მოსავალიც მოგვივაო. ყოველ ამის გამო სარწყავი დესეტინა ფასს მოიმატებს და ას თუმანზე**) ნაკლებ არ ეღირებაო. მაშასადამე, რომ ამიერ-კავკასიაში რწყვის საქმე მოეწყოს, ჩვენ შევიძენთ მილიარდ მანეთზედ მეტს ქონებასა და მაინც არა ნაკლებ იმისა, რაც გერმანიამ დავლა წაართვა საფრანგეთს 1871 წელსაო.

თქმა არ უნდა, რომ მართლა დროა ამ, ჩვენდა სამწუხაროდ, დაძინებულმა საქმემ ჩვენდა სასიხარულოდ გაიღვიძოს. არხების გაჭრაა აქ დიდი საქმე, სხვა არაფერი მიზეზი არ არის, რომ ამ საქმეს ბოლო არ მოედგას. მაგალითებრ, სამხრეთ რუსეთში, საცა მდინარეებს საწყლე დაბლები აქვთ, ძნელია წყლების ამოყვანა მაღლა და იქიდამ მიშვება. ამისათვის იქ ცალკე მოწყობა უნდა, ცალკე მანქანები წყლის მაღლა ამოსაყვანად და მერე არხში ჩასაშვებად. ჩვენში ეს არ დასჭირდებათ, რადგანაც თითქმის ყველა ჩვენებურს წყალს სათავე მაღალი აქვს და კარგი ავალი. ამიტომაც ჩვენში ოღონდ არხი იყოს, წყალი ადვილად და გაუჭირებლად მიეგდება და წავა.

*) „Р. М.", № 2.

**) წინადა ჰყავს ავტორს მოყვანილი, რომ ბევრგან დღესაც სარწყავი დესეტინა 800 მან. ღირსო, მაშინ-როდესაც იქავ ურწყავი 10 მანეთად ძლივ იყიდებაო. საფრანგეთში 3000 მანეთად გადის სარწყავი დესეტინა და იქავ ურწყავი 50 მან.

## ახალი ამბავი

⁂ ჩვეულებრივი საზოგადო კრება ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა დანიშნული იყო 19-ს მარტს. მინამ ეს დღე დადგებოდა, დიდი მითქმა-მოთქმა იყო ქალაქში. ლაპარაკი და აყალმაყალი ჰტრიალებდა უფრო ბ-ნ იოანესიანზედ, რომელსაც წელს რიგი შეგხვდა გამოსვლისა გამგეობის წევრობისაგან და რომელსაც კანონით ნება აქვს ხელახლად ამორჩეულიყო. მომხრენი და მოპირდაპირენი ბ-ნ იოანესიანისა ძალიან შეჭიდებულნი იყვნენ თურმე და საქმე იმოდენად გაამწვავეს, რომ ამ ჭიდილში გაერია ერთი გაზეთიც, რომელიც, უკაცრავოდ პასუხია, ზოილისა და ვანოს დევ-გმირულს ხელშია და რომელსაც თუ ვინმე მართებულს საზოგადოებაში ახსენებს, ჯერ წინადვე ბოდიშს იხდის ხოლმე. მაგრამ როგორც ჰქუხდა, წვიმა ისეთი არ მოვიდა და კვირას, 19-ს მარტს, ხალხიც კრებაზედ იმოდენა არ შეიყარა, როგორც მოსალოდნელი იყო.

კრებაზედ თავ-მჯდომარედ ამორჩეული იქმნა ბ-ნი იზმაილოვი. შეუდგნენ წლის ანგარიშის გარჩევას და თუმცა/გამგეობის და ნამეტნავად იოანესიანის მოპირდაპირენი ძალიან მოწადინებულნი იყვნენ ანგარიშისათვის წუნი რამ დაედევათ, მაგრამ აქ ასეთი საქმის უცოდინარობა და უვიცობა გამოიჩინეს, რომ ყურის თხოვების ღირსიც არ იყო. მარტო ბ-ნმა კაიდანოვმა შეჰნიშნა მართალი ნაკლი, მაგრამ ისეც ისეთი ნაკლია, რომელსაც არავითარი მნიშვნელობა არა აქვს საქმეთა წარმოებისათვის. ბოლოს, როცა ამ საგანზედ კამათობა გათავდა, თავ-მჯდომარემ იკითხა: ანგარიში დამტკიცდეს, თუ არაო. ერთმა-ორმა წაიბუტბუტა, კენჭი უნდა ჩამოვატაროთო. მაშინ კომერციის ბანკის გამგებელმა ბ-ნმა თამამშოვმა სთქვა, რომ, ბატონებო, კენჭის ჩამოტარება ამისთანა საგანზე, როგორიც ანგარიშის დამტკიცებაა, თითონ ანგარიშს უმიზეზოდ ავნებსო და ამიტომ გირჩევთ ანგარიში უკენჭოდ დაამტკიცოთო. კრებამ უკენჭოდ დაამტკიცა ანგარიში.

ამას შემდეგ შეუდგნენ არჩევანებს. ჩამოტარებულმა კენჭმა აღმოაჩინა, რომ ამორჩეულ იქმნენ: ბ-ნი კ. ა. იოანისიანი 487 ხმით წინააღმდეგ 180-ისა, დეპუტატებად პ. ა. იზმაილოვი (543—124), ა. პ. ტერ-აკოფოვი (461—206), ზ. გ. თამამშოვი (438—220) და სარევიზიო კომისიაში ე. დ. ტერ-ალექსანდროვი, ვ. გ. ყონდურალოვი, ა. რ. დოლუხანოვი და მათთა კანდიდატად ბ-ნი აპიანცი.

რაკი გამოცხადდა, რომ აჯობა თავის ორს მეტოქეს ბ-ნ მანდინოვს, რომელმაც 608 ხმისაგან მარტო 115 თეთრი კენჭი მიიღო და ბ-ნს ყაზარიანცს, რომელსაც მარტო 200-ზედ ცოტა მეტი თეთრი კენჭი შეხვდა, ბ-ნმა იონესიანმა მადლობა გადაუხადა კრებას ხელ-ახლად ამორჩევისათვის და თავისი სიტყვა დაასრულა მით, რომ, თუმცა ეს პატივი მომენიჭა მე დღეს თქვენგანაო, მაგრამ მე ვალები მმართებს ჩვენის საზოგადოებისა და ამის გამო საჭიროდ ვხედავ მალე სამსახურს დავეთხოვოო. მაშინ თ. გ. თარხნიშვილმა ჰკითხა: თუ დასაფარავი არ არის, გვითხარით რამდენი ვალია, რომელიც გაიძულებთ სამსახურს თავი დაანებოთო. ბ-ნმა იონესიანმა უპასუხა, რომ მე დასამალავი არა მაქვს-რა, ჩემი ვალი სულ ორი ათასი თუმანია იმისთანა, რომელიც გირაოდ თავდებული არ არისო.

მაშინ თ. თარხნიშვილმა სთქვა, რომ რაკი ბ-ნი იოანესიანი ჩვენთვის სასარგებლო კაცია, რად უნდა გავუჭიროთ ისე საქმე, რომ თავი დაანებოს ჩვენს ბანკსაო. ეს ორი ათასი თუმანი ბევრი არა არის-რა ჩვენის „საზოგადოებისათვის", რომელიც წელიწადში ამოდენა მილლიონებს ატრიალებს და ათი ათას თუმანზედ მეტს მოგებას იძლევა. განა ბევრი რამ დააკლდება ჩვენს „საზოგადოებას", რომ ეგ ვალი ახსნას ბ-ნ იოანესიანს და ოთხისა თუ ხუთის წლის განმავლობაში მოგებიდამ შეავსოსო. თუმცა აქეთ-იქიდამ ამ სარჩიელს თანაგრძნობა გამოუცხადეს, მაგრამ ჯერ თითონ ბ-ნ იოანესიანმა და მერე ბ-ნმა თავ-მჯდომარემაც სთქვა, რომ რადგანაც ეს საგანი ახალია და ამ კრების გასარჩევ საგნებ შორის არ არის მოხსენებული, ამიტომაც დღეს ვერ გაირჩევაო. ვიღაცამ წარმოსთქვა, რომ დღევანდელ პროტოკოლში შეტანილ იქმნას ეს საგანი იმ პირობით, რომ დაინიშნოს გასარჩევად შემდეგ კრებისათვის. კრება ამ უკანასკნელ გადაწყვეტილებაზე დადგა.

კრება დაიშალა მეხუთე საათის ნახევარზედ, თორმეტზე დაწყებული.

⁂ ჩვენ შევიტყეთ, დეპეშა მოსულა პეტერბურგიდგან მასზედ, რომ აქაური რკინის გზა გადასულა ხაზინის ხელში და უნდა ჩაჰბარდეს „Военное инженерное вѣдомство"-ს.

⁂ 24-ს მარტს ტფილისის ოლქის სასამართლოს სადგურში დანიშნულია კრება „კავკასიის საიურიდიკო საზოგადოებისა". ამ კრებაზედ წაკითხული იქნება ა. ს. ფრენკელის მიერ რეფერატი და საზოგადოების თავ-მჯდომარისაგან წარდგენილ იქმნება პროგრამმა მასზედ თუ,—როგორ უნდა მოიკრიფოს ცნობები ამიერ-კავკასიის გარჩევ-განსამართლების თაობაზედ.

⁂ ჩვენ გვაუწყებენ, რომ აქაურს მართლ-მადიდებლობის აღმადგენელს საზოგადოებას უთხოვნია უწმინდაეს სინოდისათვის მოემატოს ოთხი კიდევ სასულიერო გვამი ქრისტიანობის გასავრცელებლად აფხაზეთსა და მთებში. ამ დღეებში უწმინდაესის სინოდისაგან ამაზედ ნება-რთვა მოსვლიათ.

⁂ გუშინ, 20-ს მარტს, დაასაფლავეს პოლკოვნიკი მირზა-ჰუდადატ ბეკ-ვექილოვი. წესის აგების შემდეგ მაჰმადიანთა სასულიეროსაგან კუბო მიცვალებულისა გამოასვენეს სახლიდამ და მიასვენეს მეჩითში. აქ გადუხადეს მაჰმადიანთა წესი და აქედამ კუბო ხელით მიასვენეს შიიტთა სასაფლაოზედ. კუბოს მისდევდა სამხედრო მუსიკა, ბატალიონი ჯარი და რამდენიმე ათასი კაცი. გზა და გზა, რაც დუქნები იყო, სულ დაეკეტნათ მიცვალებულის პატივსაცემლად.

⁂ 17-ს მარტს ნათლუხში, ქალაქის საყასბოს ახლო, მტკვარმა ნაპირას გამოაგდო მკვდარი. როგორც ეტყობოდა, განგებ მოკლული ყოფილა და წყალში გადაგდებული. თავი გაჩეხილი ჰქონდა და ტანი მთლად დალურჯებული. ამბობენ, ყაზახია ხოპერის პოლკისააო. მკვდარი საანატომიო თეატრს გადასცეს.

⁂ კავკავის გზაზე გუდაურსა და მლეთს შუა დიდი თოვლი მოსულა. ფოსტა და მგზავრი მარხილით-ღა დადის. კობსა და ყაზბეგს შუა თუმცა ეტლებითაც დადიან, მაგრამ ძალიან უძნელდებათ. თოვლი კიდევ თურმე მოდის და ზოგან ნამქერიც არის.

⁂ შაბათს, 25 მარტს, ბანკის თეატრში ჩვენი «წერა-კითხვის საზოგადოება» გამართავს სალიტერატურო და სამუსიკო საღამოს. სხვათა შორის მონაწილეობას მიიღებენ ილია ჭავჭავაძე, დავით ერისთავი და სხვანი. იმღერებს ბ-ნ აღნიაშვილის ხორო. მოწვეულ არიან აგრეთვე სამღერლად თავ. ციციშვილები ცხოველ სურათებს დასდგამს მხატვარი ბაშინჯაღიანი.

⁂ ამ სამის წლის წინად დღევანდელის ტფილისის მაზრის უფროსის თ. ლევან ჯანდიერის მეცადინეობით, რომელიც აქამდე თიანეთში იყო მაზრის უფროსად, წოვა-თუშებმა და პირ-იქითელებმა დიდი მამული იყიდეს კობიაშვილებისაგან. მამული პანკისის ხეობაშია და 2,200 დღიურამდე იქნება. ამ მამულს დიდი მნიშვნელობა აქვს და ძვირადაცა ჰღირს თუშებისათვის, რომელთაც აქამდე რიგიანი ადგილი არა ჰქონდათ მოსახლ-კარობისა და ხვნა-თესვისათვის. თუშებმა ამ მამულში მისცეს კობიაშვილს სამი ათასი თუმანი, მაგრამ რადგან თაიანთ შორის იმ დროს

მხოლოდ ათას ორასი თუმანი მოახერხეს, დანარჩენი ათას რვაასი კერძო ფულის პატრონთაგან ისესხეს ძვირის სარგებლით. ამასთანავე მიჰმართეს მთავრობას, რომ მიეცა მათთვის სესხად ის ათას რვაასი თუმანი იაფის სარგებლით და რამდენისამე წლის განმავლობაში გადაეხდევინებინა. მთავრობა დასთანხმდა და ფული დღეს ხაზინაშია თუშთათვის სესხად მისაცემად. სამწუხაროდ, ამ საქმეს ცოტაოდენი დაბრკოლება დახვდა. ზოგს ჰგონია, რომ რაკი კობიაშვილი გასტუმრებული ჰყავთ თუშებს, ეს ფული აღარ უნდა მიეცეთ თუშებსაო. მაგრამ აქ საქმე მხოლოდ გარეგანს დაბრკოლებაშია. ნამდვილად-კი ფული თუშებს უნდა მიეცეთ, იმიტომ-კი არა, რომ მეორედ გაისტუმრონ კობიაშვილი, არამედ იმ კერძო მოვალეთა გასასტუმრებლად, რომელთაგანაც თუშებმა 24%-ით აიღეს კობიაშვილის დასაკმაყოფილებლად.

⁂ გუშინ-წინ, 19 მარტს, ჩვენმა არტისტმა ბ-ნმა კ. ყიფიანმა გაჰმართა ბანკის თეატრში სალიტერატურო საღამო. ამ საღამოზე წარმოადგინეს ლერმონტოვის დრამა „მასკარადი" და „შეშლილია", ინგლისურიდამ ნათარგმნი დრამა. ამ დრამაში მონაწილეობა მიიღო ქუთათურმა არტისტმა ბ-ნმა კ. მესხმა, რომელმაც დიდის მოფიქრებითა და ხერხიანობით შეასრულა ძნელი როლი ჰკუაზე შეშლილის ლორდ ჰარლეიგისა. საზოგადოებამ სიამოვნებით მიიღო სტუმარი არტისტი და ალტაცებულის ტაშისკვრით მოუწონა ხელოვნური თამაშობა.

⁂ სამხედრო და გზათა სამინისტროს წარდგენილი აქვს პროექტი რკინის გზის გაყვანისა ტფილისიდამ კავკავამდე. ეს პროექტი შეუდგენია პოლკოვნიკს კრინიცკის და, იმისის აზრით, გზამ უნდა გაიაროს საჩაკის ლელზე. მისი გაკეთება დაჯდება 16 500,000 მანათი. სტატკოვსკისა, პალიბინისა და ტოგელეს პროექტით-კი გზის ხარჯად გამოთვლილია 33.200,000 მან., ხოლო თვით მთავრობამ გამოიანგარიშა წინად 46 მილიონი მანათი.

⁂ ქ. კავკავი: გუშინდელს მორიგს სხდომაზე აქაურმა ქალაქის საბჭომ გადასწყვიტა აძლიოს კავკავის ქართულს სკოლას შესაწევრად წელიწადში ოც-და-ათი თუმანი. ეს შემწეობა მიეცემა სკოლას პირველს წელიწადს. შემდეგს წლებში-კი, იმედია, უფრო მეტს შემწეობას აღმოუჩენს. ამას გარდა შეგვიძლიან გაცნობოთ, რომ ხმა დადის, ვითომ ქალაქის თვით-მართველობის წარმომადგენელნი სკოლას ჰპირდებიან ადგილს სასკოლო სახლისათვის, თუ დამფუძნებელნი შეიძლებენ სახლის აშენებას. ამიტომაც ჯერ-ჯერობით სკოლის სამეურნეო კომიტეტი მზა-მზარეულის სახლის ყიდვას აღარა ჰფიქრობს, როგორც წინად ჰფიქრობდა, და განზრახვა აქვს ამოირჩიოს სკოლისათვის ადგილი და მერე როგორმე ისაშუალოს სახლის აშენება. კომიტეტმა თუ თავისი განზრახვა შეისრულა, იმედია, ისეთს სადგომს ააშენებს, რომელშიაც ადვილად შეიძლება კარგად მოწყობილი სკოლა მოათავსოს და ისეთი ვიწროობა აღარ იქნება, როგორც დღევანდელ სკოლის სადგომშია, სადაც ოც-და-ცამეტი ყმაწვილი ძლივსა თავსდება.

⁂ დ. ახალ - სენაკი: სოფ. კეთილარში გლეხის ანტონ ძველაის ცოლს ეყოლა მართლა უცნაური ბავშვი: ახალ დაბადებულს ცხვირის წვერთან ზევითა კბილების ნოლი გამოჭრილივითა აქვს. ეს გამოჭრილი ნოლი ზედა ტუჩით თითქო ცხვირის წვერს არის მიკრული. ზედა კბილები, თუ ბავშვმა იცოცხლა, გარე ექნება ეშვივით გამოშვერილი. ცხვირიდგან სუნთქვა მოსპობილი აქვს, ასე რომ თუ ცოტა ხანს პირი დამუწა, სული შეეხუთება. შუა სასა არა აქვს, შუა სასას მარტო ერთი ძარღვია გაჭიმული და ერთდება ყანყრატოსთან. ბავშვს ძუძუს წოვა არ შეუძლიან, თუ რომ კოვზით რძე არ ჩაასხეს. საზარელი სანახავია, როცა ტირილს დაიწყებს. სხვაფრით თეთრი ფუნთუშა ბავშვია და დიდის ტანისაც არის. დედ-მამასა და ნათესავებს ეგონათ, რომ ახალი დაბადებული გველეშაპიაო. ვინ იცის, საბრალო მამა რას ჩაიდენდა, რომ ერთი მადლიანი კაცი არ გასჩენოდა. ამ კაცმა ურჩია, მღვდელს შეატყობინეო. ბავშვის მამამაც მიჰმართა მოძღვარს და გამოუცხადა, რომ ჩემმა ცოლმა გველეშაპი ჰშობაო. ამის გამგონი მღვდელი გამოქცეულა და უნახავს ზემო აღწერილი ბავშვი. მღვდელს დაუმშვიდებია დედ-მამა და უთქვამს: «რის გველეშაპი, სადაური გველეშაპია? ჩინეთში სულ ამისთანები იბადებიან და მეფეებად ხდებიანო!» საბრალო ახალ ნალოგინევს დედას გულს შემოჰყრია შვილის დანახვაზედ და სევდით ძალიან ავად გამხდარა. კარგი იქნება, ექიმებმა ყურადღება ათხოვონ ამ გარემოებას.

⁂ პირველს თებერვალს უგზო-უკვლოდ დაიკარგა ტფილისის მოქალაქე ბაგრატ ტერ-მოსესოვი. ეხლა პოლიციის ბოქაულის გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ ტერ-მოსესოვი მოუკლავთ თავისისავე ცოლის ძმებს: ტფილისის მოქალაქეთ ალექსი და გრიგოლ ასლამაზოვებს და მკვდარი ტერ-მოსესოვი გადაუგდიათ მტკვარში. მტკვარს-კი გვამი გამოურიყავს ნაპირზე ნავთლუღის ქვემოდ. თურმე მკვლელებს ტერ-მოსესოვის მტრობა ჰქონიათ. ასლამაზოვები შეუპყრიათ.

## სასამართლოს მატიანე

კნეინა ევგენია ჯორჯაძის საქმე.

(შემდეგი *)

სიტყვა ვექილის ბ. ნ. დოლგოლენკოსი. პროკურორის სიტყვის შემდეგ თავმჯდომარემ გამოაცხადა ათის წამით შესვენება. როცა მსაჯულთ ხელახლად დაიჭირეს თავ-თავიანთი ადგილი და მაყურებელთ შორის ჩამოვარდა სიჩუმე, ვექილმა წარმოსთქვა:

გუშინ, როცა ექსპერტებმა უკანასკნელი სიტყვა წარმოსთქვეს, ბ-ნმა პროკურორმა გამოაცხადა: მე ვერ გამიგია, რომ ტანისამოსის გამოცვლის დროს კნ. ჯორჯაძისას ვითომ არ ესმოდა თავის მოქმედება და სხვ. თუმცა ექსპერტებისაგან დადგენილია, რომ ჯორჯაძისა შეუგნებლად ჰმოქმედებდა, მაგრამ ჩემის მხრით მაინც საჭიროდ ვრაცხ განვმარტო, რომ შესაძლოა კაცი გონივრულად ჰმოქმედებდეს არა - ჭკვათა—მყოფელობის დროსაც-კი. ამისათვის აუცილებლად მამჩნია წავიკითხო ადგილები მაუდსლისა, ფრეზესი და კრაფტ-ებინგის ნაწერებიდგან.

ფრეზე აი რას უწოდებს ჭკუასა და გონებას (კითხულობს): ჭკუას შეადგენენ სულიერნი ნიჭნი, რომელთა შემწეობით ჩვენ ვარჩევთ საგნებს და ვაერთებთ ჩვენს წარმოდგენათა; გონება-კი განსაკუთრებით გვეხმარება შევადგინოთ სახელთმძღვანელო მოსაზრებანი, პრინციპები, გვშველის წარმოდგენათა დანაწილებაში, იმათ აკინძვასა და დასკვნის შედგენაში.

კაცი გაირჩევა პირუტყვისაგან მხოლოდ იმით, რომ მას აქვს ეს ღვთაებრივი ნაპერწკალი—გონება; როდესაც იგი სულიერად ავადა ჰხდება, ჰკარგავს ამ ნაპერწკალს. ამისათვის მოხდება ხოლმე, რომ არა-ჭკვათა მყოფელნი პირს იბანენ, ტანისამოსს იცვამენ, ცეცხლში არა ვარდებიან, მაგრამ ამასთან დანაშაულობას

*) იხ. „ივერია" №№ 55, 56, 57, 58 და 59.

# ფელეტონი

## მშვენიერი ნივერნეზა

II*)

პატარა კლარა ყოველთვის ადრე იღვიძებდა. დღეს დილით კლარა საშინლად გაოცდა, რომ ოთახში, დედის მაგიერ, გვერდით ბალიშზე ვიღაც უცნობის თავი შენიშნა. კლარამ მოიფშვნიტა თვალები და გაკვირვებით დააცქერდა უცნობს. უცებ წაავლო მეზობლის თმას ხელები და რაც ძალა ჰქონდა, გასწია. საწყალს ვიქტორს გამოეღვიძა. იგი წამოჯდა ლოგინზე, გააშვებინა ხელი კლარას და განცვიფრებით დაუწყო ოთახს თვალიერება. ცხადად რაღაც ჩქარი ფეხის ხმა შემოესმა; ოთახის გვერდით ხე-ტყეს ალაგებდნენ. კლარამ კმაყოფილად გაიღიმა ვიქტორის დანახვაზე, გაიშვირა იმისკენ თითი, თითქო ჰკითხავს: შენ ვინა ხარო!..

ვილეტინელი დურგალი დიუბაკი დილის ექვს საათზე ურმით მოვიდა ლუვოსთან. ლუვო ისე გაფაციცებულ-გაცხარებული ჰმუშაობდა, რომ ყველას აკვირვებდა. მთელი ღამე არა სძინებია, ან როგორ დაიძინებდა, როდესაც მოსვენებას არ აძლევდა ის აზრი, რომ ხვალ ბავშვი, რომელიც ისე ხარბად სჭამდა კართოფილსა და სიამოვნებით შესცქეროდა ცეცხლს, უნდა წაეყვანა პოლიციაში. იგი დილითვე ელოდდა ცოლის ბრძანებას, მაგრამ დიასახლისი სხვა საქმეში გაერთო და ვიქტორი აღარც-კი მოაგონდა. ფრანსუას იმედი ჰქონდა—საქმე უკეთ დატრიალდებაო, და ამიტომ ერიდებოდა ცოლთან ლაპარაკს... იგი დაუსვენებლივ ჰმუშაობდა, რომ ცოლს არ მოესწრო და არ ეთქვა: შენ საქმე აღარა გაქვს და შეგიძლიან ბავშვი წაიყვანო პოლიციაშიო!.. საშინელის სისწრაფით იცლებოდა გემი. დიუბაკმა სამი გზა კიდეც წაიღო. ლუვოს ცოლი ძუძუთა ბავშვით იდგა ნაპირას და ძლივ ასწრობდა წაღებულ ხე-ტყის თვლას. ფიცარი გათავდა და ეხლა მორგვ-კოჭებს იღებდნენ გემიდამ. თუ მარტო უჭირდებოდა ლუვოს კოჭის გადმოღება, ეკიპაჟი მიიშველებდა ხოლმე. ხის-ფეხა ეკიპაჟი ერთად-ერთი მეშველე და თანაშემწე იყო ყოველგან ლუვოსი. იგი სამადლოდ აიყვანა ლუვომ და ისე შეეჩვია, რომ მის გამოცვლას სულაც არა ჰფიქრობდა. მოსამსახურე თავის ყავარჯენზე დაყრდნობილი ჰშველოდა ლუვოს რაც-კი შეეძლო. ლუვო-კი ორად წელში მოხრილი მიათრევდა კოჭებს.

განა შეიძლება ამ გახურებულს მუშაობაში ლუვოს მოცდენა? დიასახლისს სრულიადაც არ მოჰგონებია და იგი ანგარიშში იყო გართული. პაწაწა მიმილი-კი ხარბად სწოვდა ძუძუს. რა ხარბად სწოვს ეს მიმილი! სწორედ მამაა! განსხვავება ის არის, რომ დღეს ლუვო არ აპირებს წყურვილის მოკვლას, მუშაობის დაწყებიდამ ჯერ ღვინოზე კრინტიც არ დაუძრავს. ან რა დროს ღვინოზეა ფიქრი, როცა კაცს იმოდენა დროც არა აქვს, რომ ოფლში გაწუწული პირი მოიწმინდოს და თავისუფლად ამოისუნთქოს. აი ამ წუთსაც, როცა დიუბაკმა მიიწვია ლუვო ღვინოზე, ფრანსუამ ცივი უარი უთხრა: მაგის დროც მოვაო... ამ გვარი მოწყალება და უარი? დიასახლისს თავისის ყურებისა არა სჯეროდა. არა, ეს ის ლუვო არ არის. უეჭველია ქმარი შეუცვალეს. აგრეთვე შესცვალეს კლარა. აგერ თერთმეტი საათი სრულდება და კლარა, რომელიც არას გზით არ დარჩებოდა მარტოკა ოთახში, აქამდის არსადა სჩანს. დედამ საჩქაროდ გასწია ოთახისკენ, ყველაფერი რიგზეა იქ თუ არაო! ფრანსუა ავიდა გემის საჩეხზე საშინელის ქშინვით. ეხლა-კი მოახლოვდა დრო, ცოლს უეჭველად მოაგონდა ბავშვი. იგი ამოიყვანს მაღლა და ნება-უნებურად უნდა ასრულდეს გუშინდელი გარდაწყვეტილება. მაგრამ არა! დიასახლისი მარტო ამოვიდა. იცინის და ეძახის ქმარს:

— მოდი ნახე და! განა სასაცილო არ არის ეს?

საწყალი ლუვო მთლად მოწყვეტილი მისდევდა ცოლს. პერანგის ამარა, ტიტველა ფეხებით საწოლის ნაპირს ჰზის ორი ბავშვი. ბავშვებს მიუთრევიათ წვნით სავსე ჯამი და ბღარტებსავით ჯერ-ჯერით შეექცევიან. კლარაც-კი, რომელსაც წვენი წამალსავით ეჯავრება, ეხლა სიამოვნებით შეექცევა... თუმცა თავ-პირი და მთელი ლოგინი ბავშვებს პურის ნამცეცებით აევსოთ, მაინც გაფუჭებით არ გაეფუჭებინათ-რა. დიასახლისი, მათი დამნახავე, გულიანად იცინოდა:

— საჭირო აღარ არის ამათი ყურის გდება, რაკი ასე ჭკვიანად არიან და არა გაუფუჭებიათ-რა.

ფრანსუა გახარებული დაბრუნდა სამუშაოდ...

ჩვეულებრივ ფრანსუა, გემის დაცლის დროს, ხშირად ისვენებდა ხოლმე ოთახში, ან არა-და, წამ-და-უწუმ გარბოდა სამიკიტნოში. ამის გამო გემის დაცლა მთელი კვირა გასტანდა ხოლმე. დიასახლისი გემის დაცლის დროს ჯავრობდა და კაპასობდა... დღეს-კი აღარც თეთრი ღვინო, აღარც სიზარმაცე, მის მაგიერ დაუსვენებლივ მუშაობა და კვლავ მუშაობა... თითქო ვიქტორმაც იგრძნო თავისი ყოფა და რაც-კი იცოდა და რითაც-კი შეეძლო, აცინებდა და ამხიარულებდა კლარას. მთელს სიცოცხლეში ეს პირველი დღე იყო, რომ კლარამ უცრემლოდ და გაუკაპასებლივ გაატარა... ახალი მეგობარი ამხიარულებდა. ვიქტორი ამხიარულებდა და ისე შეეჩვია კლარას, რომ თავის თმის წეწვა გლეჯას რჩეობდა კლარას ცრემლის დანახვას. დიასახლისი შორი-ახლოდამ ადევნებდა თვალს ბავშვებს... ბავშვების მეგობრულმა თამაშობამ იმ აზრამდე მიიყვანა დიასახლისი, რომ ნაპოვნი ბავშვი მაინც და მაინც სასარგებლოა ჩვენთვისაო. შეიძლება და სასარგებლოც იქნება გემის უკან დაბრუნებამდე აქ დაიტოვონ. იმისი პოლიციაში დაბრუნება ხომ ყოველთვის შეგვიძლიანო. ასე გარდასწყვიტა დიასახლისმა და ამიტომ საღამომდე ბავშვზე ხმაც არ ამოუღია. საღამოთი აჭამა ბავშვებს კართოფილი და გუშინდელსავით ერთად დააწვინა დასაძინებლად. ერთს დღესვე ფრანსუას ოჯახმა ისე შეითვისა ვიქტორი, რომ უცხო კაცი ვერც-კი გაარჩევდა ვიქტორს ფრანსუას შვილებისაგან. დიასახლისი მალვით ეალერსებოდა ვიქტორს... ფრანსუა ჩუმად აჰმევდა ხილს. კლარა ხომ განუშორებელი მეგობარი შეიქნა ვიქტორისა. „მშვენიერ ნივერნეზას" დაცლას სამი დღე მოუნდნენ. სამი დღე სწორედ, რომ ჭირის ოფლს იწმენდდა ლუვო. უკანასკნელი ურემი შუადღისას გაისტუმრა ლუვომ და გემი მოასუფთავა. რადგან მეორე დღეს გემი უნდა გასულიყო ნავთ-საყუდელიდამ, ფრანსუამ უკანასკნელი ნახევარი დღე თავისის გემის შეკეთება-გასწორებას მოანდომა. მუშაობდა-კი ფრანსუა, მაგრამ ის აზრი, რომ აი დღეს თუ არა, ხვალ უნდა ბავშვი პოლიციაში წაეყვანოთ, გულს უკუწავდა. პოლიციით ეხლა დედა აშინებდა ბავშვებს და ყოველთვის ამ სიტყვით აჩუმებდა კლარას. ვიქტორი შიშით შეჰხედავდა ხოლმე დიასახლისს, როცა-კი იგი პოლიციას ახსენებდა. შიშით ვამბობთ, იმიტომ-რომ უბედურმა ბავშვმა ძლიერ ადრე იგემა ტანჯვა-წვალება... ბავშვი ჰგრძნობდა, რა უბედურება-ხიფათი იგულისხმება ამ სიტყვაში: პოლიცია! ეს ხომ ჰნიშნავდა: მშვიდობით კლარა! მშვიდობით ალერსო, ცეცხლო და კართოფილო! ეს ხომ წარსულის დაბრუნებას მოასწავებდა; დღისით შიმშილს, ულოგინოდ ძილსა და უალერსოდ გაღვიძებას. წასვლის წინა დღეს ფრანსუამ გადასწყვიტა უკანასკნელად მოჰლაპარაკებოდა ცოლს.

— გამიგონე, დედაკაცო, წაიყვანო ბავშვი?

ცოლმა ხმაც არ გასცა. იგი სცდილობდა რაიმე მოემიზეზებინა, რომ ბავშვი თავისთან დაეტოვებინა... კლარამ გაიგონა თუ არა ეს სიტყვა, გაითოშა იატაკზე, გაჰკიოდა, ტიროდა, ანჩხლობდა და ავად გახდომით აშინებდა მშობლებს, თუ მეგობარს მოაშორებდნენ. მცირე ფიქრს შემდეგ დიასახლისმა გადასწყვიტა საქმე:

— აი რა! შენ ეხლაც ისეთივე სისულელე ჩაიდინე, როგორც ყოველთვის... ეს ბავშვი ჩვენ უკვე შეგვეჩვია, კლარას ვიჟსავით უყვარს და სწორედ არაფერი სასიამოვნოა ეხლა იმისი მოშორება. როგორც იქნება, შევინახოთ ვიქტორი, მხოლოდ საჭიროა ყველა ჩვენგანმა მცირე რამ დავიკლოთ. რა წამსაც კლარას გაანჩხლებულს ენახავ, ან მთვრალს გნახავ, იმ წამსვე ბავშვს პოლიციაში წავიყვან.

ლუვოს ძალიან ესიამოვნა ეს სიტყვები, იგი მენავეთა სიმღერებს ჰმღერის და ჰგრეხს თოკებს. „მშვენიერი ნივერნეზა" სხვა გემებთან ერთად მისცურავს სენაზედ და მთელი ლუვოს სახლობა მიჰყავს კლემანსისკენ...

(შემდეგი იქნება)

*) იხ. „ივერია" № 60.

სჩადიან, თუმცა ამისათვის კანონი არა სჯის მათ. (ვექილი აგრძელებს იმ ადგილების კითხვას, სადაც ლაპარაკია იმაზე, თუ რა ნიშნებით იცნობება სულით ავადმყოფი. შემდეგ ჰკითხულობს ადგილებს სულით ავადმყოფობის მიზეზების შესახებ და ბოლოს მოჰყავს მაუდლსის ნაწერები).

პროკურორმა თავისის სიტყვის დასასრულში წარმოსთქვა: თუ ჰქონდა რამე ავადმყოფობა კნ. ჯორჯაძისას, ეს ავადმყოფობა იმპულსიური შეშლილობააო. ამისათვის საჭიროდ ვრაცხ წავიკითხო მაუდსლის წიგნიდგან ორი შემთხვევა, რომელიც ძალიან წაჰგავს კნ. ჯორჯაძის საქმეს (კითხულობს): 31 წლის ქმრიანი ქალი, რომელსაც ჰყავდა შვილი, გამსჭვალული იყო იმ აზრით, რომ როგორმე ეხელთა დრო და ადგილი თავის მოსაკლავად. სხვაფრივ ეს ქალი უგუნურად არა ჰფიქრობდა, ჰმოქმედობდა გონიერულად და ლაპარაკშიაც მახვილი და გონიერი იყო, მაშინაც-კი, როდესაც იგი უფრო და უფრო გაიტაცა თავის მოკვლის სურვილმა. გონება სწორი, საღი ჰქონდა, გარდა იმ ნაკლისა, რომ თავის მოკვლა უნდოდა. ავადმყოფს კარგად ესმოდა ამ აზრის უგუნურება, მაგრამ არ-კი შეეძლო ამაზე ხელის აღება. დრო გამოშვებით ეს ქალი შეიქნებოდა მხიარული, ალერსიანი; მაგრამ, როცა-კი შეამჩნევდა მოსამსახურეებს მცირეოდენ უყურადღებობას, იგი მაშინვე დიდის მოწიწებით შეუდგებოდა თავისის განზრახვის სისრულეში მოყვანას.

ერთხელ ქვეშაგებში დიდის სიფრთხილით ჩაზია ზეწარი და იმ ჩანახევით თავი უნდა დაერჩო, ხოლო იქ მჯდომმა მოსამსახურემ გაიგო და გადაარჩინა სიკვდილს.

შემდეგ რომ ვეღარას გაჰხდა, ხელი აიღო საჭმელზე, რათა შიმშილით მაინც მოეკლა თავი, ასე რომ ექიმები იძულებულნი იყვნენ ძალათ ეჭამებინათ. თვით ავადმყოფი ხშირაც სწუხდა თავის მდგომარეობას. ერთხელ ოთახში რამდენსამე წამს მარტოკა დარჩა. თვალის დახამხამებაზე გამოვარდა ოთახიდგან ბაღში, ბაღიდგან გუბისაკენ გაეშურა და ყირამალა გადაეშვა გუბეში. ჩქარა მოასწრეს და გადაარჩინეს დარჩობას. მას შემდეგ აღარ სცდილობდა თავის მოკვლას, შეუყვარდა სიცოცხლე და ძლიერაც გამხიარულდა. ეს შემთხვევა ცხადად გვიმტკიცებს, რამდენად შემცდარია ვინც ჰფიქრობს, რომ ბოროტისა და კეთილის გამრჩევი არ შეიძლება ავადმყოფი იყოსო.

აი მეორე შემთხვევა. მოხუცი დედაკაცი, 72 წლისა, რომლის სახლობაშიაც იყო რამდენიმე სულით ავადმყოფი და გონჯი, გამსჭვალული იყო იმ აზრით, რომ დაერჩო ყველაზე უფრო საყვარელი და იმისი მომვლელი ქალიშვილი. ხშირად სწუხდა ხოლმე ეს მოხუცებული, იჯდა დაღონებული და წარბ-შეკრული. მაგრამ უცებ მოუვლიდა თავისი ჟინი და მივარდებოდა თავისს საყვარელ ქალიშვილს დასარჩობად. ისე გაცეცხლდებოდა და გაღონიერდებოდა, რომ ძლივს შეიკავებდნენ, მაგრამ შემდეგ რამდენისამე წამისა ძალღონეს ჰკარგავდა, მოეშვებოდა და დიდის მწუხარებითა და ოხვრით წარმოსთქვამდა: „აკი გითხარით, ბოროტი ვარ და თქვენ-კი არ დაიჯერეთო“. თითონ ავადმყოფს ესმოდა თავისი განზრახვა, იცოდა, რომ ამ განზრახვის შესრულება დიდი დანაშაულობა იქმნებოდა, ამ ავადმყოფს რომ შეესრულებინა თავისი განზრახვა, რომ დაერჩო თავისი საყვარელი ქალიშვილი, იმასაც დასჯიდნენ, დასჯას აღსრულებაში მოიყვანდნენ, მაგრამ უკანონობა-კი იქმნებოდა (სიჩუმე).

მე აქამომდე-არ შევხვედრივარ უფრო კეთილშობილსა და ზნეობით წმინდა არსებას, როგორიც არის ჩემი მრწმუნებელი. იგი არის პირდაპირი თავის მოქმედებაში, კეთილშობილია ქცევით, გრძნობიერი, უყვარს კეთილი და სძულს სიმრუდე. თავისისა და ოჯახის პატიოსნებას იცავს რაინდულის თავ-განწირულებით.

მოწამე ქ-ნი ზარაფაშვილისა მოგვითხრობს: ყმაწვილს მთელი დღე არ ასვენებდა კნეინა და უვლიდა შესანიშნავადაო. თუმცა ძიძაც ჰყავდა, მაგრამ ღამე გაიჩურჩულებდა თუ არა ბალღი, ან ამოიღებდა მცირეოდნად ხმას, მაშინვე კნეინა წამოდგებოდა, გააღვიძებდა ძიძას და მოაწოვებინებდა ძუძუსაო.

აქ ვათხოვებ თქვენს ყურადღებას, ბ-ნო მსაჯულნო, იმ მშობლიურს სიყვარულს, რომელმაც გაუძლიერა კნეინას წინაპართაგან ნაანდერძევი სენი. შვილის სიყვარულის გამოუძილობას შეეჩვია, რომელიც საღს სხეულსაც-კი დაასნეულებდა. წინაშე ამისთანა კეთილის არსებისა მუხლს იდრეკს თვით ყველასაგან პატივცემული თ. ჩოლოყაშვილიც, რომლის ჩვენებაც უეჭოა. იგი ამბობს: „კნეინა არის კეთილშობილი დედაკაცი და უაღრეს ხარისხამდე ზნეობრივი ადამიანიო“. მე ვანებებ თავს განათლებულს წრეს მოწმებისას და მივმართავ უბრალო მოწმებს. მე იმათ ვკითხავ: როგორი დედაკაცია კნეინა ჯორჯაძისა? აი მზარეული რას ამბობს:

„მე აგერ ათი წელიწადია მზარეულადა ვარ, მაგრამ არ მინახავს ისეთი დიასახლისი, როგორიც არის კნეინა გენო. იგი მართლაც-და სამაგალითო დიასახლისიაო“. ამ კეთილს დედაკაცს წინააღმდეგ იმის ბუნებისა და სიმართლისა თავს ატყდება უბედურობა...

იგი იბადება ავადმყოფ მშობელთაგან; შემდეგ იმის სნეულ ნერვებს კონსტიტუციონალური ავადმყოფობა ემართება; იმის ქმარს უბედურება ეწვევა.. ყალბ ფულების გასაღებას აბრალებენ. შეყვარებული ცოლი არ შეიძლება არ აღეშფოთებინა ამ ამბავს, მით უფრო, რომ ქმარი უმანკო იყო და ცილსა სწამებდნენ...

თქვენ, ბ-ნნო მსაჯულნო, გეხსომებათ ჩვენება თ. ჩოლოყაშვილისა, რომელმაცა სთქვა: თ. დავით ჯორჯაძე მოვიდა ჩემთან, როგორც მაზრის უფროსთან, და მითხრა, რომ თვალ-ყური მედევნებინა იმის მოსამსახურისათვის ყალბის ფულების გასაღების გამო. ამას ამბობს თ. ჩოლოყაშვილი. ეხლა წარმოიდგინეთ ბედის უკუღმა ტრიალი. გამომძიებელ მელიქ-ნუბაროვის წყალობით თვით თ. დ. ჯორჯაძეს სდებენ ამ საშინელს ბრალს და ამ ნაირად უჩირქის აჩირქიანებენ...

მე აქ მინდა ცოტა შევჩერდე, რადგანაც ეს არის, ჩემის აზრით, სათავე უბედურებისა.

ამ საშინელებას არ შეიძლებოდა არ მიექცია სრული ყურადღება იმისთანა კეთილშობილის გვამისა, როგორიც არის კნეინა ჯორჯაძისა. საქმე გათავდა. არაფერზე აშენებული არაფრითვე თავდება. კნეინა დამშვიდდა, დარწმუნდა, რომ ქმარი იმისი არის კეთილშობილი და პატიოსანი. მაგრამ დახე უბედურებას! კნეინას ხელში აჩეჩებენ წერილსა, რომელშიაც სწერია: „რაშიაც შენ ღრმადა ხარ დარწმუნებული, სტყუვდები. შენი ქმარი ავაზაკიაო“. კნეინას გავარდება ხელიდგან წერილი, ჩაიკრიფება სავარძელში გაფითრებული და ღონე-მიხდილი, ხოლო ერთს წამოიძახებს „დახე! კიკომ მიაღწია თავისს სურვილსაო!!“

ბ-ნნო მსაჯულნო, გთხოვთ ათხოვოთ ყურადღება ამ წამს, აქედამ იწყება ბოდვა. აი ამის დასამტკიცებელი საბუთებიც: შეხედავს თუ არა კნეინას ბილანაშვილი, დაინახავს, რომ კნეინას ისე ამღვრევია თვალები, ისეთი საშინელი სანახავია იმისი სახე, რომ იგი ბილანაშვილი) სხვას ველარას ახერხებს და მიჰქრის ცხენით სოფლად ქმრის შესატყობინებლად. ბოდვა უეჭველია. ამ ბოდვას კავშირი აქვს მემკვიდრეობით სნეულებასთან, ამასთან ქმრის სამსახურიდგან დათხოვნასა და ამით ქმრის შეურაცხყოფას. უამისოდაც ორსულობის გამო აშლილს ნერვებს ეს ბოდვა აჰყავთ უაღრესს წერტილამდე, როცა კაცს გონება სრულიად ეხშობა. გამოჩნდება მაცდური შურისძიებისა და ჩაჰპოჰავს მაგრა გონება-მიხდილს ქალს. ეს ყოვლად კეთილი ქალი ჰხდება მონად მაცდურისა. იგი, როგორც ყმაწვილს, უცვლის მას ტანისამოსს, აძლევს ხელში რევოლვერს, რომელიც შეიძლება ხუთჯერ დაახალოს მტერს სასიკვდილოდ...

დახე სიმართლის განკარგულებას: კნეინა ესვრის მხოლოდ ერთხელ. თუ სდომებოდა და მასთან გონებაც შესწევნოდა, ხუთჯერ დაახლიდა და მოჰკლავდა კიდეც.

(შემდეგი იქნება)

## უცხოეთი

**ავსტრი-ვენგრია.** აი როგორი ყოფილა ვენგრიის პარლამენტში ის ამბავი, რომელმაც სისხლის-ღვრა გამოიწვია და საშინლად აღელვა სტუდენტობა და ერი. კრება გაცხარებული იყო. გაცხარებული იყო იმიტომ, რომ დეპუტატი ეტიეში საშინლად ჰკიცხავდა კოლომონ ტისას, ვენგრიის მთავარ მინისტრს. მთავრობის მომხრე დეპუტატი გეგედუში გამოვიდა ტალანში და ხმა-მაღლა უთხრა ერთს მთავრობის მოწინააღმდეგეს: ის-ღა დაგრჩენიათ, ახლა ეტიეშს ჩირაღდნებით მიეგებოთო! ამ დროს ტალანში იყო სტუდენტი კოლომან სამორჯელი. სტუდენტმა მოჰკრა ამ სიტყვებს ყური, მივიდა და უთხრა გეგედუშს: „ნუ გეშინიანთ, ტისასაც ჩირაღდნით მივეგებებით, მხოლოდ ქონის სანთლებს-კი დავუნთებთო. თავი დაგვანებოს, დაგვეკარგოსო!“ აქ იყო ამ დროს მოხუცებული დეპუტატი ივანკა, რომელმაც უთხრა სტუდენტს, რომ აქ თქვენი ადგილი არ არისო. ამაზე სტუდენტმა უპასუხა მოხუცებულს: მე თქვენთან საქმე არა მაქვს, საზიზღარო მამელიუკოვო! *) ასეთი წყენა მოხუცისა ვერ მოითმინა დეპუტატმა რაგონჩიმ და სახეში გაარტყა სტუდენტს. სტუდენტმაც სილა სტკიცა დეპუტატს. გაცეცხლებულმა რაგონჩიმ იძრო რევოლვერი და დასჭრა თეძოში სამორჯელი, თუმცა არა მძიმედ. მოხდა საშინელი არეულობა და ვაი ვაგლახი. საქმე გადაეცა საპარლამენტო კომისიას გამოსაძიებლად.

— პრინცმა ლიხტენშტეინმა, კლერიკალმა დეპუტატმა, წარუდგინა ავსტრიის პარლამენტს პროექტი, რომ სკოლები ეკკლესიებსა და სასულიერო წოდებას ტყუილად გამოეწირა და მთავრობასთან ერთად იმასაც უნდა ჰქონდეს მონაწილეობა ახალ-თაობის აღზრდაში. ამ პროექტმა დიდი ალიაქოთი მოახდინა პარლამენტშიაცა და მწერლობაშიაც. ლიბერალები საშინლად ეწინააღმდეგებოდნენ პროექტს, მაგრამ რადგან ამ პროექტით გამოდის, რომ თითოეულმა თემმა კერძო საქმეები სკოლისა უნდა თავად განაგოს, ამიტომ ჩეხელები და საზოგადოდ სლავიანები თანაგრძნობით მოექცნენ. გერმანელების დასს ავსტრიისას-კი დიდად საშიშოდ მიაჩნია გერმანელობისათვის ამ პროექტის შეწყნარება: მაშინ ჩვენი სკოლები სულ სლავიანურს ხასიათს მიიღებენ და გერმანელობა აღზრდა-განათლების საქმეში დიდად დაიჩაგრებაო.

**საფრანგეთი.** დიდის ამბით მიიღეს საფრანგეთში ელზასელი დეპუტატი გერმანიის რეიხსტაგისა ანტუანი, რომელმაც გერმანიას თავი დაანება და კვლავ საფრანგეთის ქვეშევრდომობა მოინდომა. ანტუანი, მას უკან, რაც ელზას-ლორენი გერმანიამ მიისაკუთრა, ცხარედ ებრძოდა ბისმარკს და მთავრობას: ელზას-ლორენს ნუ აგერმანიელებთ, ელზას-ლორენი კვლავ საფრანგეთს უნდა დაუბრუნოთო. ანტუანს ამ მედგარის ბრძოლისათვის ბისმარკის ჯიბრზე რკინის დეპუტატი დაარქვეს. საფრანგეთში ანტუანი დიდის ამბით მიიღეს, მიულოცეს კვლავ საფრანგეთის მოქალაქედ გახდომა და მრავალი სიტყვა უთხრეს ქებისა და თანაგრძნობისა. მიგებებაზე დაესწრო 4,000-მდე კაცი: დეპუტატები, სენატორები და აუარებელი ხალხი.

**ინგლისი.** სალისბერს ამ დღეებში რამდენიმე სიტყვა წარმოუთქვამს. მთავარ-მინისტრს უფრო ირლანდიის გამო ულაპარაკნია. უთქვამს, რომ ირლანდიის თვით-მმართველობის საქმე, ესრედ წოდებული ჰომრული, უფრო ირლანდიის მიწათ-მფლობელობის ავ-კარგიანობის გამო გამოწვეულიო. იქ რომ მიწათ-მფლობელობა მოიწყოს, თვით ირლანდიელებს გაუჩნდეს მამული და საკუთარი მიწა, ჰომრულს დაეკარგება თავისი ძალა და მნიშვნელობა. თუ ამ საგანს მივაქცევთ ყურადღებას, სამუდამოდ მოვსპობთ ირლანდიაში უწესოებასა და მღელვარებას. ამ მხრივ დიდად სასარგებლოდ მიმაჩნია კანონი ლორდ ეშბორნისა, რომელმაც დააწესა, რომ ირლანდიელებმა სახელმწიფო ხაზინის შემწეობით შეიძინონ ხოლმე საკუთრებად მიწა მამული. შეიძლება ეს კანონი კიდეც გავრცელდეს, მაგრამ, სამწუხაროდ, ეხლა დასთა შორის ისეთი გამწვავება არსებობს პარლამენტში, რომ ასეთი გავრცელებული კანონი არ იქმნება შეწყნარებული. ამას გარდა სალისბერმა ილაპარაკა კერძო არჩევანების გამოცა და სთქვა, რომ კერძო არჩევანებით ვერ შეიცვლება უმრავლესობა პარლამენტისა და ტყუილი იმედი აქვსთ ამისი ლიბერალებსა. ვიდრე პარლამენტის უმრავლესობა არ შეიცვლება და არ გამოაცხადებს: არ ვენდობი მთავრობასაო, იმ დრომდე პარლამენტი არ დაიშლება ახალის არჩევანების დასანიშნავადაო.

*) მამელიუკები ერქვათ ეგვიპტის სულთანის მძვინვარე და სისხლის-მსმელ ჯარისკაცებს.

## წვრილი ამბები

ამერიკელ რედაქტორის წერილი მკითხველთა მიმართ: „ჯენტლმენნო! ჩვენის გაზეთის უკანასკნელ კვირის ნომერში შემდეგი წერილი იყო დაბეჭდილი, თუ მკითხველთაც ახსოვთ: „Reb. Frout Salon-ში უმეტესად ისეთნი დადიან, რომელნიც ყველას, ვინც-კი მათ ქეშად შეჰხვდავს, დამპაჩას ესვრიან, ასახიჩრებენ და ჰკლავენ კიდეც. გუშინ საღამოსაც ამ სალონში ჩხუბი მოუვიდათ მომრიგებელ-მოსამართლეს ჩუქსსა და პოლკოვნიკს კრუგსას. ორივენი სიმთვრალისაგან ფეხზე ვერ იდგნენ. ამ დროს ჩვენც იქ დავესწარით (სალონში ჩვენი გვარეულობა მამა-პაპიდგან დაიარება). თუმცა ჩვენც შექეიფიანებულნი ვიყავით, მაინც ისე არა გვეჭირდა-რა, რომ ამ ჩხუბის ანგარიშის შედგენა არ შეგვძლებოდა. ორი ჯენტლმენი ოც წუთამდე აიტაკზე ჰგორავდნენ, 21 ლუდის ბოთლი დაამტვრიეს, 16 თეფში, სკამი, და ლუმელი გადმოაბრუნეს. პოლკოვნიკს თავი გახვრეტილი აქვს. ამ ამბავს იმიტომა ვწერთ, რომ პოლკოვნიკმა აღარ დაიკვეხოს საზოგადოების წინაშე და არა სთქვას: ომში მომარტყეს ტყვიაო, რადგან არასოდეს ომში არა ყოფილა. ჩვენ კარგად ვიცით, რომ ცხენის ქურდია და ჩამოსარჩობი; ვიცით აგრეთვე ისიც, რომ მომრიგებელი-მოსამართლე ძველი ავაზაკი და ქლესა კაცია. ორივენი დამნაშავენი არიან და მეტად გარყვნილნიცაო“. აი, ჯენტლმენნო, ჩვენი უტყუარად მონათხრობი ამბავი და ყოველ წუთს მზადაცა ვარ დავიფიცოთ, რომ სწორედ ასე მოხდა. გუშინ ფოსტაში შეგვხვდა პოლკოვნიკი, წაგვექცია და საშინლად მიგვბეგვა. ქვეშმოქცეულმა უარი ვსთქვით ჩვენ მიერ დაბეჭდილს ამბავზე, შეცდომას დავამიზეზეთ და დავპირდით, რომ უარ-ვყოფთ კიდეც გაზეთშიო. ამის დაპირების შემდეგ პოლკოვნიკმა თვითვე წამოგვაყენა და იქ იდგა, ვიდრე გამტვერიანებულს ტანისამოსს არ გავიწმენდავდით. მომრიგებელი-მოსამართლე ჯერ არსად გვჩვენებია, 30 მან. გვმართებს იმისი და არ უნდა გაგვაწყენოს. აი ეს საქმე დაგვემართა. თუ ვისმე ქურდს, ავაზაკს, კაცის-მკვლელს, ჩამოსარჩობს ვუწოდებთ სამართლიანად, ყოველთვის უარ-ვყოფთ ჩვენვე, თუ დონით და ან სხვა რამე საშუალებით იძულებულ გაგვხდიან, განსაკუთრებით მაშინ, როცა ადამიანი ისეთს სულელს, ქურდს, მატყუარას, ქლესას, ორ-ცოლიანს და საზარელო ძაღლს გადაეკიდება, როგორიც არის ჩვენი პატივცემული პოლკოვნიკი, რომლის შესახებ დაბეჭდილი ამბავი, ძალა-უნებურად ვაცხადებთ, იმისის სურვილისამებრ, შეცდომით დავსწერეთ. ვაცხადებთ აგრეთვე, რომ დღეიდგან გვიმასხროს პოლკოვნიკმაცა და იმისმა მაგვარებმაც, მათთან ანგარიშის გაწევას არ შევუშინდებით მხოლოდ ჩვენს კანტორაში-კი. თუ ქუჩაში შეგვხდა, მოვერი-

დებით და თუ საჭირო იქნება, მოვკურცხლავთ კიდეც“.

— ყაზანის მაზრის სოფ. ტურში, „Сам. Газ.“-ს სიტყვით, 15 თებერვალს, გლეხის დედაკაცი ბარბარე მამაკოვისა დაწოლილა და ხუთი ვაჟი შვილი ჰყოლია. მეხუთე უმაწვილი მკვდარი დაიბადა თურმე და მეოთხე-კი ნათლობის შემდეგ გარდაიცვალა. დანარჩენი სამნი ჯან-საღად არიან და აგრეთვე მელოგინესაც არა უჭირს რა. მამიკოვები ღარიბნი არიან და რვა შვილი ჰყავთ საზრდოებელი.

— პარიჟის «Vaudeville»-ს თეატრში თითქმის ყოველ დღე არდგენენ სარდუს პიესას „Marquise“-ს, თეატრს „Gymnase“-ში თამაშობენ სარდუსავე ნაწარმოებს „Bell-Maman“-ს. ეხლა ეს ნაყოფიერი დრამატურგი გიდევ ახალს პიესასა სწერს თურმე, დიდს კომედიას „Théâtre - Français“-ესთვის.

— ყველაზედ გავრცელებული სათამაშო ამ ჟამად მთელს პარიჟში ასრედწოდებული „ბულანჟეს საქმეა“ თურმე. ეს სათამაშო წარმოადგენს რამდენსამე ერთმანეთში შეერთებულს ფოლადის რგოლს, რომელიც მოთამაშემ ისე უნდა გაასცალკცალკევოს, რომ ღონე არ იხმაროს.

— შვეციაში, პოეტთა გარდა, ხალხის წარმომადგენელნიც მოწადინებულნი არიან თურმე, რომ დედათ მიენიჭოთ საპოლიტიკო და სოციალური უფლება თანასწორ მამაკაცთა. მაგალითებრ, ამას წინად ქალაქის საბჭოს არჩევანებში ქალებსაც მიუღიათ მონაწილეობა. შვეციის პარლამენტის ორსავე პალატაში დაუმტკიცებიათ კანონი, რომ ქალებსაც მიეცეთ სამოსწავლო უწყებაში სამსახურის ნებათ.

# დეპეშა

18 მარტი

სევასტოპოლი. აშინოვის ცოლი წავიდა ჩერნიგოვის გუბერნიაში თავისს მამულში. აშინოვი სევასტოპოლში დამწყვდეულია თავისს სადგომშივე. არხიმანდრიტი პაისი წავიდა სიმფეროპოლში მისის ყოვლად-უსამღვდელოესის სანახავად და სიმფეროპოლიდგან პეტერბურგს წავა

პარიჟი. სენატმა მიიღო კანონ-პროექტი, რომლის ძალით იმან უმაღლესის სასამართლოს მაგიერობა უნდა გასწიოს, თუ ვინიცობაა საფრანგეთში შეთქმულობა მოხდა. ხვალ ამ კანონ-პროექტს წარუდგენენ პალატას, რომელიც უეჭველია შეიწყნარებს. ხმა დადის, რომ ამ კანონ-პროექტის შედგენის მიზეზი ის არის, ვითომ მთავრობას განზრახვა აქვს დაატუსაღოს ბულანჟე, რომელსაც შეთქმულობა ჰბრალდებათ. დიდ-ძალი დეპუტატი თხოულობს, რომ მთავრობა სასტიკად მოეკიდოს ბულანჟელებს. როგორც სჩანს, მთავრობა ამისი თანახმაა. ამბობენ, რომ პალატას სჯა ექნება იმაზე, მიიცეს თუ არა ბულანჟე სამართალშიო. თუ პალატამ ნება დართო, ბულანჟეს იმ წამსვე შეიპყრობენ.

გუშინ ოსტენდესა და დუვრს შუა ორი ბელგიელი გემი ერთმანეთს დაეტაკა. ერთი გემი დაილუპა, მეორე, სახელდობრ «ჟერომ-ნაპოლეონი», გადარჩა.

ლონდონი. გრიგალის დროს, სამოას კუნძულის მახლობლად, დაილუპა სამი სამხედრო გემი გერმანიისა და სამიც ამერიკისა.

ბელგრადი. მილანი წავიდა სტამბოლს.

19 მარტი

პეტერბურგი. „მართებლობის მოამბეში“ დაბეჭდილია წერილები აწ განსვენებულის გრაფ პეტრე ანდრიაძის შუვალოვის შესახებ. ეს წერილი იმითი არის გამოწვეული, რომ გაზეთებმა არა-სამართლიანად მოიხსენიეს გრაფის მოღვაწეობა, განსაკუთრებით იმისი მონაწილეობა ბერლინის კონგრესში. იმ წერილში ნათქვამია, რომ ბერლინის კონგრესს შემდეგ გრაფი არა ერთხელ გაუკიცხავთ იმიტომ, ვითომ გრაფი მეტის-მეტს თავაზს უწევდა უცხო სახელმწიფოებს. აგრეთვე გრაფს იმას სწამებდნენ, ვითომ იმისის წყალობით რუსეთმა მთლად ვერ შეასრულა სან-სტეფანეს ხელ-შეკრულობაო. საზოგადოებამ არ იცოდა ყველა გარემოება ამ საქმისა. გრაფი გამოცდილი კაცი იყო და ამიტომ საზოგადოების გარდამეტებულს ალტაცებას არ აჰყვაო. გრაფს ესმოდა, რომ სან-სტეფანეს ხელ-შეკრულობის შესრულება რუსეთს ბევრს ხიფათს უქადიდა. მხოლოდ ბერლინის კონგრესის პროტოკოლებს შეუძლიან ცოტად თუ ბევრად გამართლება გრაფისა: ეს პროტოკოლები ამტკიცებენ, თუ რა მხურვალედ და ღირსეულად ესარჩლებოდა გრაფი რუსეთის ინტერესებსაო.

20 მარტი

პეტერბურგი. რუსეთის ახალს 4% სესხზედ სულ მოაწერეს ხელი 6 მილიონ ფრანკისა.

„Гражданинъ“-ს გაუგონია, რომ სახელმწიფო რკინის გზის დროებითი მმართველობა ჩაჰბარდება რკინის გზათა დეპარტამენტებს და ამიტომ დეპარტამენტის წევრთ შორის ზოგიერთი ცვლილება მოხდებაო.

ამბობენ, რომ გზათა უწყების მინისტრს ორი ამხანაგი ეყოლება: ერთს სატეხნიკო საქმე მიენდობა, ხოლო მეორეს მმართველობისაო. ეს ორნი უნდა იყვნენ ინჟინერ-გენერალი პეტროვი და ტაინი სოვეტნიკი ნეროვნოვი.

პარიჟი. დღეს აკურთხეს ეიფელის კოშკი.

გაზეთები ამბობენ: მართალია ის ამბავი, რომ გუშინ მინისტრებმა გადასწყვიტეს წინადადება შეიტანონ პალატაში ბულანჟეს სამართალში მიცემის შესახებაო. ხოლო უკანასკნელს წუთს ბუშემ ხელი არ მოაწერა ამ გარდაწყვეტილებაზე, უარი სთქვა, რადგან ჯეროვანი საბუთები არა გვაქვს აგრე მოქმედებისაო, და სამსახურიდგან გადადგომის ქაღალდი შეიტანა. ხმა დადის, რომ ბუშემ სამსახურიდგან დათხოვნის ქაღალდი უკანვე მოითხოვა და გადასწყვიტა, რომ დაუცდი პალატის მიერ იმ კანონ-პროექტის დამტკიცებას, რომლის ძალითაც სენატი უზენაეს სამსჯავროდ უნდა გადაიქმნესო.

სასამართლოში მამულიშვილთა საზოგადოების საქმის გარჩევას სამშაბათს შეუდგებიან. განსამართლების დროს ბრალმდებელი გამოაცხადებს, რომ ამ საქმის გარჩევა გადავდოთ იმ დრომდე, ვიდრე სენატი არ განსჯის სახელმწიფოს წინაამდეგ შეთქმულთა საქმეს და სამართალში არ მისცემს ბულანჟესა და საერო კომიტეტის წევრებსაო.

პეტერბურგის ბირჟა, 17 მარტი

| | მყიდველთა. | გამყიდველთა. | გაყიდულია. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — „ | — „ | 7 43 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | — „ | $148^3/_4$ |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | — „ | — „ | 1 12 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | $272^1/_4$ | — „ | — „ |
| —მეორისა . . . . . | 245 | — „ | — „ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | — „ | — „ | — „ |

გამგეობის ცნობანი

ნიხრი

1 მარტიდამ 1 აპრილამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ. . 5 კაპ.
პური 1-ის ხარისხისა. . $3^1/_2$ „
„ 2 „ 3 „
თონის წითელი პური 1-ის ხარის. 5 „
„ „ 2— 4 „
„ „ 3 „ $3^1/_2$ „
ჯვარის მამის პურის ლავაში
1-ლის ხარისხისა . . 5 „
მე-2 ხარისხისა . . 4 „
მე-3 — . . . „
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. 9 „
„ 2 „ 8 „
სუკი . . . . 16 „
ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. 10 „
ღორის ხორცი . . . „ „
„ 2 „ „ „


# განცხადებანი

დაიბეჭდა და ისყიდება
წერა-კითხვის სამართველოში და გ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში:
სამის თავს გადასავალი
მოთხრობა
ანტონ ფურცელაძისა.
გამოცემა
ზ. ჭიჭინაძისაგან.
ფასი 25 კაპ.

საზოგადო წასასმელი
ლითონთა საწმენდავად.
საუკეთესო ღონისძიებაა
!მთელის ქვეყნის მირ-ზედ!
უმთავრესი დეპო იმყოფება სამხრეთ რუსეთისათვის ძმათა პეტრო კოკონოებთან ოდესას.




ისყიდება ყველგან.
მყიდველებსა ვსთხოვთ, რომ ყურადღება მიაქციონ ჩვენს ფირმასა და საფაბრიკო მარკას.
(26—19)

წერა-კითხვის გამავრცელებელ
საზოგადოების
წიგნთ-საწყობში
(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 109, 110)

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ქართული გრამატიკა, შედგენილი არ. ქუთათელაძესაგან . . . . . . . . | ,, | 40 |
| საქართველოს კალენდარი, გუნიასი . . . . . . . | „ | 45 |
| კრებული არითმეტიკულ ამოცანებისა, რ. ჯაჯანაშვილისა . | „ | 40 |
| ანბანი კანვაზე საკერი, გ. ტატიშვილისა . . . . . | „ | 20 |
| დავით ასლანიშვილი-ჯანდიერი, ა. ფურცელაძისა . . . | „ | 10 |
| ქადაგებანი და მოძღვრებანი ამბროსი ნეკრესელისა , | | |
| ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოცემა . . . . . | ,, | 50 |
| მარინე, ისტორიული მოთხრობა გუნიასი . . . . | „ | 30 |
| საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოც. . . | 3 | „ |
| სამართლის წიგნი ვახტანგ რჯულ-მდებელისა (რუსულს ენაზე) . . . . . | 3 | 50 |
| ვაზის ობი . . . . . . . | „ | 10 |
| ლოცვანი, ღამბაშიძისა . . | „ | 30 |
| სიკვდილი მართლისა, პონტოელი პილატეს მეუღლის წერილი თავის მეგობარ ქალთან. | „ | 5 |
| ტიბიკონი, რ. ხუნდაძისა. . | 1 | „ |
| საახალწლო, ნ. ნიკოლაძისა. | ,, | 40 |

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი
„ივერია“
1889 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.
ფასი:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 12 თთვით . . . | 10 მ.—კ. | | 6 თთვით . . . . | 6 მ.—კ. |
| 11 „ . . . | 9 „ 50 „ | | 5 › . . . . . | 5 „ 25 „ |
| 10 „ . . . | 8 „ 75 „ | | 4 › . . . . . | 4 „ 75 „ |
| 9 „ . . . | 8 „ — „ | | 3 › . . . . . | 3 „ 50 „ |
| 8 „ . . . | 7 „ 25 „ | | 2 › . . . . . | 2 „ 75 „ |
| 7 „ . . . | 6 „ 50 „ | | 1 › . . . . . | 1 „ 50 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:
Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდამ გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმების გარდა, პირველ საათიდამ სამს საათამდე და საღამოობით 7-დამ 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ფრეილინის ქუჩაზე, ბასტამოვის სახლში, № 5.

# დედა ენა და ბუნების კარი

ახლად დაბეჭდილნი ,,წერა-კითხვის საზოგადოების“ მიერ
ისყიდება
„საზოგადოების“ კანცელარიაში.

ბუნების კარი უცვლელად არის დაბეჭდილი, დედა-ენა-კი შეცვლილი და შევსებულია ახალი მოთხრობებით, ლექსებით და სურათებით. ფასი უწინდელია, ესე იგი „დედა-ენა“ ღირს ექვსი შაური (30 კაპ.), ბუნების კარი—თხუთმეტი შაური (75 კაპ.).

ვინც ერთბაშად ნაღდ ფულზე იყიდის ოც და-ათ ცალს დედა-ენისას, თითო წიგნი დაეთმობა ხუთ შაურად (25 კაპ.); ვინც იყიდის ათს ცალს ბუნების კარისას ნაღდსავე ფულზე, თითო წიგნი დაეთმობა თოთხმეტ შაურად (70 კაპ.), ვინც ოც-და ათს ცალსა,—ცამეტ შაურად (65 კაპ.), ვინც ასსა და მეტსა,—სამ აბაზად (60 კაპ.).

ვისაც ჰსურს ყდაში ჩასმული წიგნი იყიდოს, თითო წიგნზე კიდევ სამი შაური უნდა დაუმატოს.

ვინც ტფილისის გარეშე წიგნს დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი თვითონ მყიდველმა უნდა იკისროს.

მყიდველებმა ამ ადრესით უნდა მოჰმართონ კანცელარიას:
Тифлисъ. Въ канцелярію Общества грамотности, Дворцовая ул., домъ Зем. Банка, №№ 109 და 110.


Доз. ценз. Тифлисъ 20-го Марта 1889 года. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месхи). на Фрейлинской ул. пом. Т. Д. З. Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე